



ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება

რეზიუმე

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზაციის ორგანიზაციულ ასპექტად გვევლინება მუდმივად ცვალებადი გარემოს პირობებში ძირითადი სამთავრობო ფუნქციების შესრულების ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციული ინოვაციების შერწყმა. ზემოხსენებული კონცეფციის რეალიზება მიზანშეწონილია მრავალდონიანი სისტემურ-ფუნქციონური მიდგომის საფუძველზე. კვლევის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების მაღალეფექტიანობას განაპირობებს პროექტების თანაბარზომიერი განვითარება ელექტრონული მთავრობის ყველა ფუნქციის მიხედვით, რომელთა შორისაა ელექტრონული ადმინისტრაცია (E-administration), ელექტრონული მომსახურება (E-services), ელექტრონული მმართველობა (E-governance) და ელექტრონული დემოკრატია (E-democracy).

შესავალი

ამჟამად მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს ახალ სოციალურ ფორმაციაზე, გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესი, რომელიც ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების ერთობლიობა იქნება. პირობითად გამოყოფენ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ორ ძირითად მოდელს: დასავლურსა და აღმოსავლურს. თანაც, დასავლური მოდელის ფარგლებში ევროპის მიერ არჩეული გზა უნდა გამოეყოთ ამერიკულისგან, ხოლო აღმოსავლურის ფარგლებში ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ჰქონდეს¹.

ევროკავშირის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ნიშან-თვისებაა სახელმწიფოს მხრიდან სრულ კონტროლსა და ბაზრის კანონებს შორის გარკვეული ბალანსის ძიება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამთავრობო და საბაზრო ძალების შეხამება იმის გათვალ-

ვახტანგ ღათაშვილი

სტუ-ს პროფესორი

E-mail: social_economica@mail.ru

თინა მელქოშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: tina.melkoshvili@tsu.ge

მარიამ ღათაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: datashvili-maria@mail.ru

ისწინებით, რომ თითოეული მათგანი შეიძლება იცვლებოდეს ჩამოყალიბებული ვითარებიდან გამომდინარე. ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში სახელმწიფოს როლისადმი ეს მიდგომა გამოხატულია ევროკავშირის 1993 წ. რეზოლუციაში, სადაც აღნიშნულია საბაზრო და სოციალურ ორიენტაციას შორის ბალანსის მიღწევის აუცილებლობა. ამან ასახვა ჰპოვა დანიის მთავრობის ანგარიშში „ინფორმაციული საზოგადოება 2000“, სადაც ხაზგასმულია ის, რომ ბაზარს არ უნდა მიეცეთ ინფორმაციზაციის დამუშავების სტრატეგიის გაკონტროლების უფლება, თუმცა, ეს სტრატეგია საბაზრო ძალების შესაძლებლობებს უნდა ითვალისწინებდეს². არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე პრობლემაა ის, თუ რა უნდა განვითარდეს თავიდან - ქსელები თუ მომსახურება. საზოგადოდ, ევროპაში ის აზრია გაბატონებული, რომ პირველ რიგში მომსახურების სფეროს განვითარებაა საჭირო. ამ პრობლემაზე საპირისპირო აზრი აქვთ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს. მათ გეგმებში მინიშნებულია, რომ სწორედ ქსელების განვითარებაა მომსახურების სფეროს განვითარების წამყვანი ფაქტორი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა პროგრამა უნივერსალური მომსახურების განვითარების ამოცანას სვამს. ამის მიზეზია ევროკავშირის სერიოზული შემოთხზება ინფორმაციულ საზოგადოებაში უთანაბრობის პრობლემის გამწვავებით, როცა

¹ Чернов, А.А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва: Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

² Вершинская, О.Н. Существующие модели построения информационного общества [Текст] / О.Н. Вершинская // Информационное общество. - 1999. - № 3. - С. 53.



მოსახლეობის დიდი ნაწილი პროცესების მიღმა შეიძლება აღმოჩნდეს. ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მოდელის შემუშავებასა და რეალიზაციაში არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობს კულტურის ეროვნული თავისებურებები. ხშირად დიდწილად სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქვეყანაში ამა თუ იმ საინფორმაციო ტექნოლოგიაზე მოთხოვნას. ამის გამო ყოველ ქვეყანას ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენების თავისი თავისებურებები აქვს და თავისი აუდიტორია ჰყავს სხვადასხვა სახის საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებისათვის.

2000 წ. ევროკავშირის ლიდერებმა მიიღეს ლისაბონის სტრატეგია³ საიმიხედ, რომ ეს კავშირი ცოდნაზე დაფუძნებული ყველაზე დინამიკური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა გახდეს მთელ მსოფლიოში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ამ მიზნის მიღწევის საკვანძო კომპონენტებად იქცა. შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა „eEurope“⁴, რათა მომხდარიყო ლისაბონის სტრატეგიის რეალიზება საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. პროგრამა ამ სფეროში იმ ინიციატივების ფართო დიაპაზონის გაგრძელება გახდა, რომლებიც 1984 წ. მიიღო ევროკომისიამ.

პირველი ინიციატივა იყო მთელი რიგი ევროპული კვლევითი პროგრამების გატარება. 1984 წ. ამოქმედდა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის კვლევის მხარდამჭერი პროგრამა ESPRIT, მომდევნო წელს - ტელეკომუნიკაციების კვლევის მხარდამჭერი პროგრამის PACE-ს პირველი სტადია. პროგრამა PACE-ს ბირთვს უნდა განეკუთვნებინა ევროპაში ფართოზოლიანი ქსელის უზრუნველყოფი ტექნოლოგიები. პროგრამის მნიშვნელოვანი მიზანი ის იყო, რომ შექმნილიყო ევროპის სატელეკომუნიკაციო კომპანიებს

შორის განხილვებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობი საერთაშორისო ფორუმი და დადგენილიყო ზოგადი ხედვა ევროპის მომავალი ტელეკომუნიკაციებისათვის ამ გზით კი გაუმჯობესებულიყო ეროვნული საზღვრების გასწვრივ დანაწევრებული ბაზრის ინტეგრაცია. პროგრამა PACE გაფართოვდა, რასაც თან ახლდა კვლევის სხვა ტელემატიკური პროგრამები⁵.

ევროკავშირის პოლიტიკის სხვა ხაზი ტელეკომუნიკაციის სექტორის საბაზრო რეფორმას უკავშირდებოდა. ეს რეფორმა დაიწყო 1987 წ. გამოცემული მწვანე წიგნით⁶ და გაგრძელდა მთელი რიგი დირექტივებით, რომლებიც რამდენჯერმე გადაისინჯა. რეფორმის მთავარი მიზანი იყო ტელეკომუნიკაციების სექტორის უფრო დინამიკურად განვითარების დაწყება წინა საზოგადოებრივი სტრუქტურის მიერ დაწესებული ბარიერების მოხსნისა და სრული რესტრუქტურისაციის გზით.

პროგრამა „eEurope“ 2000 წ. ამოქმედდა როგორც კომისიის ინიციატივა ლისაბონის სპეციალური ევროსაბჭოსთვის⁷. შემდგომში იგი გაგრძელდა 2005 წ. „eEurope“-ს პროგრამით⁸. მოგვიანებით მისი შემკვიდრე გახდა პროგრამა „i2010“⁹.

2000-2002 წლებში „eEurope“-ს გეგმას სამი მთავარი მიზანი ჰქონდა: უფრო იაფი, სწრაფი და უსაფრთხო ინტერნეტი, ინვესტიციები ადამიანთა უნარ-ჩვევებში და ინტერნეტ-ქსელის გამოყენების გაფართოება. 2005 წ. „eEurope“-ს გეგმაში ეს გეგმები შეცვალეს „ონლაინ“ რეჟიმში სახელმწიფო მომსახურების გაწევით, ელექტრონული კომერციის დინამიკური გარემოთი, ფართოზოლიანი ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის საყოველთაოდ გავრცელებით¹⁰. ორივე გეგმა მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ქსელის სტიმულირებასაც იწვევენ და კონტენტის განვითარებასაც.

ინფორმაციული საზოგადოების აშენება იმ

³ Lisbon Strategy [Electronic resource]. - URL: http://cordis.europa.eu/programme/rcn/843_en.html

⁴ eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the special European Council of Lisbon. - Brussels, 2000. - 16 p.

⁵ Falch, M. ICT as an Example of Industrial Policy in EU [Text] / M. Falch // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.1683-1689.

⁶ Green Paper on the development of the common market for telecommunications services and equipment

⁷ - Brussels : Commission of the European communities, 1987. - 192 p. eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the

⁸ special European Council of Lisbon. - Brussels, 2000. - 16 p. eEurope 2005: An information society for all [Text] / An Action Plan to be presented in view of the

⁹ Sevilla European Council. - Brussels, 2002. - 22 p. i2010—A European information society for growth and employment [Electronic resource]. - 2005.

¹⁰ URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52005DC0229>. Some key issues in Europe's competitiveness — Towards an integrated approach [Electronic resource]. 2005. - URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52003DC0704>



„საერთო საინფორმაციო ზონის“ შექმნასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია ხუთ ასეთ პრინციპს შორის, რომელიც საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ტელემატიკურ ინფრასტრუქტურას ეყრდნობა.

ელექტრონული მთავრობა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროგრამების (მთავრობებს შორის გაცვლა (IDA-Interchange of Data between Administrations) და TEN-TELECOM (2000 წლიდან – Ten))¹¹ წამყვანი ელემენტი იყო.

ევროპაში ელექტრონული მთავრობის კონცეპტი სამი ძირითადი საკითხის დინამიკურ სტრუქტურაშია¹²:

1. ეკონომიკის გლობალიზაცია და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტების მიერ ჩამოყალიბებული პრობლემები;

2. ევროპული იდენტურობის შექმნა (სხვადასხვა მოდულების გაფართოება, დადგენა და არსებობა ევროპის განვითარებისა და დემოკრატიული დეველოპმენტის წრის საკითხებისთვის);

3. საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სექტორის გამოყენების ექსპონენციალური ზრდა.

ელექტრონული მთავრობა ძირითადი საკითხია ამ სფეროებში (ე.ი. ეფექტიანად რეალიზება უნდა ხდებოდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების მეშვეობით (3) და ორგანიზაციულ ცვლილებებთან ერთად იწვევდეს ეკონომიკურ უპირატესობებს საზოგადოებრივი და კერძო სექტორებისთვის (1), ევროპული სისტემის მეტ ინტეგრირებას (2)).

ამ სფეროში არსებითი დოკუმენტებია, აგრეთვე, „ელექტრონული მთავრობის როლი ევროპის მომავლისთვის“ („The Role of E-Government for the Future of Europe“¹³) და „ელექტრონუ-

ლი მთავრობა ევროპაში: საქმის ვითარება“ („E-Government in Europe: The State of Affairs“¹⁴), რომლებიც ევროპის კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი იტალიის ქ. ჩერნობიოში.

ევროპის ელექტრონულ მთავრობას შემდეგი ელემენტები ახასიათებს:¹⁵

1. მომეტებული ყურადღება ეთმობა ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ განხორციელებას;

2. მნიშვნელოვანია ურთიერთქმედების უნარის ფაქტორი;

3. დიდია სახელმწიფოს, რაიონებისა და მუნიციპალიტეტების როლი;

4. დაპატენტებულ ბრენდებზე მეტი უპირატესობა ენიჭება საყოველთაოდ მისაწვდომ პროგრამულ უზრუნველყოფას.

ევროკავშირის დონეზე არსებული ინიციატივების პარალელურად მისი წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ განსაზღვრა თავისი საკუთარი ეროვნული სტრატეგიები როგორც „eEurope“-ს პროგრამის ნაწილები. 1990-იანი წლების დასაწყისში ყველა ქვეყანაში მოდალ იქცა იმის საკუთარი გეგმის შედგენა, თუ როგორ უნდა მიეღწიათ მსოფლიო ჩემპიონობისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაში¹⁶. შედეგთს ჰქონდა ფართო-ზოლიანი ქსელების სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები, დანიაში ფართოდ გაავრცელდა დაბეგვრის არსებითი სუბსიდიები, რამდენადაც კომპანიებს დართეს მათ მოსამსახურებთან ფართოზოლიანი მიერთების ნება არადასაბეგრი დამატებითი შეღავათის სახით¹⁷. ბელგია ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც კენჭისყრაში ინტერნეტი გამოიყენა¹⁸.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების ამერიკულ გზას განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი მოდე-

¹¹ Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 1047-1055.

¹² Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 1047-1055.

¹³ The Role of eGovernment for Europe's Future [Text].-Brussels: Commission of the European communities, 2003. - 26 p.

¹⁴ Leitner, C. E-Government in Europe: The State of Affairs [Text] / C. Leitner. - Maastricht : European Institute of Public Administration, 2003. - 63 p.

¹⁵ Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 1047-1055.

¹⁶ Henten, A. European planning for an information society [Text] / A. Henten, M. Falch, K.E. Skouby // Telematics and Informatics. - 1996. - № 13(2). - P. 177-190.

¹⁷ Falch, M. ICT as an Example of Industrial Policy in EU [Text] / M. Falch // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.1683-1689.

¹⁸ Delwit, P. Electronic Voting in Belgium [Text] / P. Delwit, J.-B. Pilet, E. Kulahci // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.2749-2760.



ლი, რომელშიც სახელმწიფოს ფუნქციები მინიმუმამდე, კერძო პირების საქმიანობა კი - მაქსიმუმამდეა მიყვანილი. ამ მიდგომაში მთავარია ყველაფრის დატოვება კერძო სექტორისა და საბაზრო ძალების ხელში, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზრის სრულად ლიბერალიზება. ამ დროს დიდი ყურადღება ეთმობა საინფორმაციო სუპერ-მაგისტრალების განვითარებას, მათ სოციალურ ორიენტაციას, აგრეთვე, უნივერსალური მომსახურების პრობლემას. საპირწონის როლი სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუკი ლიბერალიზაციის პოლიტიკა არა მთელი მოსახლეობის, არამედ უმეტესწილად საქმიანი წრეების მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მისი ფასის შემცირებისკენაა მიმართული¹⁹.

აშშ-ში ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ისეთი ელექტრონული მთავრობის შექმნა, რომელიც ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს მოსახლეობას. ელექტრონული მთავრობის შექმნა მიმდინარეობს მთავრობის მეტი კარგახსნილობისა და მოქალაქეების წინაშე მისი ანგარიშვალდებულების ღიშვით. ეს ვალდებულება მხოლოდ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ამის უზრუნველყოფა ხდება კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების მუშაობის მაჩვენებელთა კომპლექსების ღია სპეციფიკაციითა და ამ მაჩვენებელთა მონიტორინგის ისეთი საშუალებების შექმნით, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის.

აშშ-ში ელექტრონული მთავრობის შექმნის საკანონმდებლო ბაზის შექმნა უ. კლინტონისა და ა. გორის ადმინისტრაციამ დაიწყო 1995 წ., როცა მიიღეს კანონი „ქაღალდის დოკუმენტბრუნვის შემცირების შესახებ“²⁰. 1996 წ.

არსებითად გადაამუშავეს კანონპროექტი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“²¹ (The Freedom of Information Act) და მიიღეს კლინჯერ-კოენის კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების რეფორმის შესახებ“²². შემდეგ კანონს „სამთავრობო დაწესებულებებში ქაღალდის დოკუმენტბრუნვისგან განთავისუფლების შესახებ“²³ 1998 წ. მოაწერეს ხელი. 1999 წ. დეკემბერში კლინტონმა ხელი მოაწერა ორ მემორანდუმს - ელექტრონული მთავრობის შესახებ (Electronic Government)²⁴ შესახებ და საზოგადოების სასარგებლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ (Use of Informational Technology to Improve Our Society).²⁵ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში ელექტრონული მთავრობის ტექნოლოგიების დანერგვის ფართომასშტაბიანი პროექტის სტარტი. ძირითად პრობლემად ის დაისახა, რომ მოქალაქე აქამდე იძულებული იყო კონკრეტული უწყებისთვის მიემართა და არა მთელი მთავრობისთვის²⁶. ელექტრონულ ტექნოლოგიებს დაეკისრა ამ მთავარი ნაკლის გამოსწორება. აშშ-ის მართვისა და ბიუჯეტის განყოფილების (the Office of Management and Budget (OMB)) მემორანდუმის თანახმად, ელექტრონული მთავრობის სტრატეგიისთვის (E - Government Strategy) არსებობს მთავრობის მოდერნიზაციის სამი მიზანი: მოქალაქეების მიერ მომსახურების მიღების გააღვივება და მათი ურთიერთქმედება ფედერალურ მთავრობასთან; მთავრობის ეფექტიანობისა და ნაყოფიერების გადიდება; მოქალაქეთა თხოვნებზე მთავრობის გამომხატურების გაუმჯობესება²⁷.

2000 წ. ივნისში პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივით შეიქმნა ონლაინის ინტეგრირებული სერვისული სისტემა, რომელმაც ფედერ-

¹⁹ Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва: Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.

²⁰ Paperwork Reduction Act of 1995 [Electronic resource]. – URL: <http://www.archives.gov/federal-register/laws/paperwork-reduction/>

²¹ The Freedom of Information Act [Electronic resource].-URL: http://www.justice.gov/oip/foia_updates/Vol_XVII_4/page2.htm

²² Information Technology Management Reform Act of 1996 [Electronic resource]. - URL: <http://govinfo.library.unt.edu/npr/library/misc/itref.html>

²³ Memorandum on Electronic Government [Electronic resource]. – 1999. - URL: <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PPP-1999-book2/pdf/PPP-1999-book2-doc-pg2317.pdf>

²⁴ Use of Informational Technology to Improve Our Society [Electronic resource]. - URL: http://findarticles.com/p/articles/mi_m2889/is_51_35/ai_59520696/

²⁵ Кристалльный, Б.В. Электронное правительство. Опыт США [Текст] / Б.В. Кристалльный, Ю.В. Травкин; под ред. В.И. Дрожжинова. – Москва : Эко-Трендз, 2003. - С. 23-27.

²⁶ E-government strategy [Electronic resource] / Office of Management and Budget. – 2002. - URL: <http://www.whitehouse.gov/omb/pubpress/2003-12.pdf>.

²⁷ U.S. government's official web portal [Electronic resource]. – URL: <http://www.usa.gov/>



ალური მთავრობების ონლაინ-რესურსები განათავსა ერთ ვებ-გვერდზე (<http://www.firstgov.gov>).²⁹

ჯ. ბუშის ადმინისტრაციამ გააგრძელა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო მართვის სტრუქტურების საქმიანობის რეორგანიზაცია. 2001 წ. მან აშშ-ს კონგრესს შესთავაზა მართვის გაფართოებული რეფორმების ახალი პროგრამა. 2000 წ. დასაწყისში სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა „ელექტრონული მთავრობის შქმის სტრატეგია“³⁰. ჯგუფმა 70 სამთავრობო უწყების 150 პასუხისმგებელი მუშაკი გამოკითხა და 200-მდე წინადადება შეიმუშავა³¹.

2002 წ. 17 დეკემბერს პრეზიდენტმა ჯორჯ უ. ბუშმა ხელი მოაწერა კანონს ელექტრონული მთავრობის შესახებ (the E – Government Act of 2002). ამ კანონს დაევალი უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია მთავრობის შესახებ და მოქალაქეებისთვის, მოსამსახურეებისთვის, სხვა სააგენტოებისა და იურიდიული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ³².

ელექტრონულ მთავრობაზე მომუშავე ჯგუფმა შემდგომში მოახდინა 23 საუწყებოშორისო ინიციატივის იდენტიფიცირება, რომლებიც შეიმუშავეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინვესტიციებისა და დაფუძნების პროცესების გაერთიანებისათვის. ეს ინიციატივები, რომლებსაც ხშირად „the Quicksilver projects“ უწოდებდნენ, ხუთ კატეგორიად დააჯგუფეს: მთავრობა მოქალაქეებს, მთავრობა მთავრობას, მთავრობა ბიზნესს, შიდა ნაყოფიერება და ეფექტიანობა და, ბოლოს, კატეგორია, რომელიც უწყებებს შორის ბარიერების შემცირებისკენაა მიმართული ელექტრონული მთავრობის წარმატებით შექმნის მიზნით³³.

ამ ინიციატივების მაგალითებია:

1. პროექტი „E-authentication“ საერთო დანიშნულების სამსახურის ადმინისტრაციის მეთაურობით, რომელიც ციფრული ხელმოწერების

გამოყენების გადიდებისკენაა მიმართული. „E-authentication“-ის ინიციატივა ნდობის მოპოვებასა და განმტკიცებაზეა ორიენტირებული იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ელექტრონული ურთიერთქმედების ფართოდ გავრცელებას საზოგადოებასა და მთავრობას შორის და სხვადასხვა დონის მთავრობებს შორის „იდენტიფიკაციის“ ფაქტის საერთო გადაწყვეტის დაწესების გზით. ეს გადაწყვეტები მიმართულია აუტენტიფიკაციისაკენ უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საკუთრების დაცვისა და ელექტრონული მთავრობის განვითარების ყველა ინიციატივაში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სფეროში.

2. ინიციატივა „E-Government Architecture“ ორ მთავარ მიზანს ემსახურება. ერთია იმ არქიტექტურის დამუშავება, რომელიც ფედერალური საწარმოს არქიტექტურად უნდა განიხილებოდეს და ელექტრონული მთავრობის ყოველ ინიციატივაში იყოს გამოყენებული როგორც კონკრეტული ტექნოლოგიური გადაწყვეტების ფორმირებისთვის გამოსადეგი სტანდარტიზებული მოდელების ბირთვი. მეორე მიზანი ისაა, რომ შეიკრიბოს და გაანალიზდეს ფართო ინფორმაცია ფედერალური მთავრობის მიერ გამოყენებული მონაცემების და ბიზნესის არქიტექტურისა და სტრუქტურის შესახებ, რათა ამ საფუძველზე შემუშავდეს ელექტრონული მთავრობის ინიციატივების განვითარების ახალი წინადადებები, აგრეთვე, შემცირდეს არსებული ზედმეტობა. ეს ძალისხმევა პირველ რიგში, კონცენტრირებულია ოთხ საკვანძო სფეროზე. ესენია: ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური სტიმულირება, სოციალური მომსახურება და ოფისების შიდა საქმიანობა.

3. პროექტი „the Eligibility assistance online“ (ე.წ. GovBenefits. Gov), შრომის სამინისტროს (the Department of Labor) მეთაურობით, მიმართულია სამთავრობო შედავაობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო წერტილის

²⁸ Chen, M.E., Davis, C.K. Current Approaches to Federal E-Government in the United States [Text] / M.E.

Chen, C.K. Davis // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 298-305.

²⁹ E-government strategy [Electronic resource] / Office of Management and Budget. - 2002. - URL: <http://www.whitehouse.gov/omb/pubpress/2003-12.pdf>.

³⁰ Чугунов, А.В. Развитие информационного общества: теории, концепции и программы: Учебное пособие [Текст] / А.В. Чугунов. — Санкт-Петербург : Ф-т филологии и искусств СПбГУ, 2007. — 98 с.

³¹ Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 154-161.

³² Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 154-161.

³³ Seifert, J.W. E-Government Act of 2002 in the United States [Text] / J.W. Seifert, H.C. Relyea // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 154-161.



შექმნისაკენ; ფორმების დახმარებისაკენ კანონიერი და ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად³⁴.

აშშ-ის ელექტრონული მთავრობის კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო ონლაინ-მომსახურებანი, რომელთა შორის ყველაზე უფრო მოთხოვნადია საშემოსავლო გადასახადის რეგისტრაცია, ლიცენზიის მოთხოვნა თევზჭერისა და ნადირობისათვის, პროფესიული ლიცენზიების განახლება, დასაქმების შესახებ ინფორმაციის გადაცემა, ორგანიზაციაზე შეტანილი საჩივრის რეგისტრაცია, სახელმწიფო სესხის მოთხოვნა³⁵. ელექტრონული სწავლება (E-learning) სწავლის შესაძლებლობებს ანიჭებს ფედერალურ დაწესებულებებს³⁶.

ამგვარად, აშშ-ში ჩამოყალიბდა ელექტრონული მთავრობის განვითარებისა და ელექტრონული სახელმწიფო მომსახურების ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის პროცესის როგორც ადმინისტრაციული რეფორმის განუყოფელი ნაწილისა და ბირთვის მართვის სიტემა. ამასთან, წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ინტერაქტიული სამთავრობო მომსახურების ხარისხთან და სახელმწიფო მართვის ინფორმაციზაციასთან დაკავშირებული პოზიციების ჩასმა სამთავრობო უწყებების ფუნქციონირების ეფექტიანობის საერთო შეფასებათა სისტემაში, რომელიც ასახავს პოულობს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებისა და სპეციალური ფონდების მოცულობებში.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების **ადმოსავლური მოდელის** წარმომადგენლები ცდილობენ დასავლეთის ალტერნატიული მოდელის შექმნას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ინდუსტრიალიზაციის, ინფორმაციზაციისა და სოციალური განვითარების მიმართ საკუთარი ღირებული ორიენტაციის დამკვიდრებას ეფუძნება. მას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და ბაზრის თანამშრომლობა, კონფუციანელობისთვის დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობებსა და მიმდინარე სოციალურ ცვლილებებს შორის კავშირის დამყარების მცდელობა. ადმოსავლური მოდელის ფარგლებში

ში გამოყოფენ იაპონიას, „აზიურ გვეგებს“; გარკვეული ძვრებია დასახული ჩინეთსა და ინდოეთში.

„იაპონური ეკონომიკური სასწაული“ ქრესტომათიულ ცნებად იქცა ინფორმაციული საზოგადოების განვითარებაში. დღესამ ქვეყნის მიღწევები ხსენებულ დარგში აშშ-ის წარმატებების შესაბამისია. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეცნიერულ კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯები და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დიდი პრიორიტეტი.

1950-იანი წლების შემდეგ იაპონიის სტრატეგიული მიზნები ინფორმაციზაციის სფეროში გახდა ურთიერთდაკავშირებული და თავსებადი სატელეკომუნიკაციო ქსელების ყველაზე დიდი რაოდენობის, საინფორმაციო მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფისა და საინფორმაციო მომსახურების განვითარება, კვალიფიციური კადრების მომზადება საინფორმაციო სფეროსთვის. ამ მიზნების გამოცხადებამ და შემდგომში მისმა რეალიზებამ იაპონიაში უზარმაზარი სტიმული მისცა ინფორმაციაზე ორიენტირებული საქმიანობის თავბრუდამხვევი ტემპებით განვითარებას. დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის მაგალითის გადმოღებით ამ ქვეყანამ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია იმპორტული ტექნოლოგიების ადაპტაციაში და ახლა უკვე მისი მთავარი პრიორიტეტი ხდება ახალი ცოდნის დაგროვება, ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების საკუთრივ დამზადება.

იაპონიაში ელექტრონული მთავრობის ფორმირება შემდეგი სცენარით მიმდინარეობდა. მართვის სფეროში რეფორმების გატარების პირველი მცდელობა მთავრობას 1950-იანი წლების ბოლოს ჰქონდა. პირველი კომპიუტერი აქ 1958 წელს გამოიყენეს მეტეოროლოგიურ სამსახურში; უფრო კოორდინირებული წესით კომპიუტერების გამოყენების მიზნით 1968 წ. დააარსეს სამინისტროთაშორისი კომიტეტი³⁷.

³⁴ Chen, M.E., Davis, C.K. Current Approaches to Federal E-Government in the United States [Text] / M.E. Chen, C.K. Davis // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 298-305.

³⁵ Welber, M. Government: Departments seek learning alternatives [Text] / M. Welber // E-Learning. - 2001. - № 2. - P. 12-15.

⁷⁸ Kaneko, Y. Mechanism of E-Government Undertaking in Japan [Text] / Y. Kaneko // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 2272 -2283.

³⁶ Kaneko, Y. ICTs and a rejuvenated Japan post-ensuring diverse services for local communities [Text] / Y. Kaneko // 26th International Congress of Administrative Sciences (2004, July 14-18). - Seoul, 2004. - P. 195-215.

³⁷ Kaneko, Y. Promoting Electronic government —With a focus on statistical activities [Text] / Y. Kaneko, // The 25th International Congress of Administrative Sciences. - 2001. - P. 833-849.



1960-1980 წლების პერიოდში მთავრობაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა³⁸. მათ თავდაპირველად იყენებდნენ კვლევებისა და სტატისტიკის სფეროში, 70-იანი წლების ბოლოდან კი - ისეთ საჭირო პროცესებში, როგორიცაა მძღოლებზე ლიცენზიების გაცემა, სოციალური დაზღვევა და ა.შ.³⁹. რამდენადაც გვიან - 80-იან წლებში დაიწყო მონაცემთა ბაზების გამოყენება. 1994 წ. იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა მთავრობაში საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გენერალური გეგმა (Master Plan for Promoting Government-Wide Use of ICT), რომელიც მიზნად ისახავდა ეფექტიანი და მწარმოებლური საზოგადოებრივი მართვის რეალიზებას სამთავრობო საქმეებში ასეთი ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების გზით⁴⁰.

2000 წ. ნოემბერში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი სტრატეგიის (Basic IT Strategy) შესაბამისად მიიღეს კანონი იაპონიაში დაწინაურებული ინფორმაციულ-კომუნიკაციური საზოგადოების ფორმირების (the Basic Law on the Formation of an Advanced Information and Telecommunications Network Society) შესახებ⁴¹. მასში აქცენტირებული იყო იაპონიის ფორმირება მაღალგანვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მქონე ქვეყნად, ასეთი საზოგადოების ერთ-ერთი ელემენტი კი ელექტრონული მთავრობა უნდა ყოფილიყო⁴².

„ელექტრონული იაპონიის“ („e-Japan“)⁴³ სტრატეგია 2001 წ. 22 იანვარს დააანონსეს ეროვნულ სტრატეგიად. „ელექტრონული იაპონია“ უნდა გამხდარიყო ისეთი საზოგადოების საფუძველი, რომელშიც თითოეული ადამიანი შეძლებდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებას და ამით უპირატესობისა და სარგებლის მიღებას. მთავრობის დიდი როლი მდგომარეობდა ისეთი სამუშაო გარემოს შექმნაში, რომელშიც კერძო სექტორს შეეძლო თავისი

პოტენციალის გამოვლენა და ხუთი წლის განმავლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ერად იაპონიის გადაქცევისთვის ხელშეწყობა.

„ელექტრონული იაპონიის“ სტრატეგიის სპეციფიკური მიმართულებებია:

- ინტერნეტის ულტრასწრაფი ქსელის გამართვა და მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობა შეძლებისდაგვარად შემჭიდრობულ ვადებში;

- ელექტრონული კომერციის წესების შექმნა;

- ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზება;

- ახალ, „ციფრულ“ ეპოქაში მუშაობის უნარის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

სტრატეგიული მიმართულებების ფორმულირებას მალე მოჰყვა მოქმედების შესაბამისი მექანიზმების შემუშავება. ასეთ მექანიზმად იქცა 2001 წ. 29 მარტს მიღებული „ელექტრონული იაპონიის პრიორიტეტული პოლიტიკის პროგრამა“ (eJapan Priority Policy Program)⁴⁴, რომელმაც 2006 წლამდე დააკონკრეტა მთავრობის მოქმედებები. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კერძო სექტორს.

პროგრამაში დაკონკრეტებულია მოქმედებათა ხუთი ვექტორი ეროვნული სტრატეგიის ზემოწამოთვლილი ვექტორების შესაბამისად:

- მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ქსელების შექმნა;

- კადრების მომზადება განათლებისა და სწავლების მხარდაჭერის გზით;

- ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა;

- ადმინისტრაციული სერვისების „ციფრიზაცია“ და კავშირგაბმულობის მაღალტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივ ადგილებში;

- სამთავრობო სატელეკომუნიკაციო ქსე-

³⁸ Kaneko, Y. Mechanism of E-Government Undertaking in Japan [Text] / Y. Kaneko // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 2272 -2283.

³⁹ Kubo, S. Local E-Government in Japan: IT Utilization Status and Directions [Text] / S. Kubo, T. Shimada // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 2217-2230.

⁴⁰ Ministry of Public Management, Home Affairs, Posts and Telecommunication [Electronic resource].

⁴¹ e-Japan Strategy [Electronic resource]. -URL: http://www.kantei.go.jp/foreign/it/network/0122full_e.html

⁴² e-Japan Priority Policy Program [Electronic resource]. -URL: <http://www.kantei.go.jp/foreign/it/network/priority/index.html>

⁴³ Government of Japan (GOJ). Program for building e-government [Electronic resource]. - 2003. - URL:

<http://www.kantei.go.jp/jp/singi/it2/cio/dai4/4siryu2.pdf>

⁴⁴ Government of Japan (GOJ). Program for building e-government [Electronic resource]. - 2003. - URL: <http://www.kantei.go.jp/jp/singi/it2/cio/dai4/4siryu2.pdf>



ლების მეშვეობით გადაცემული ინფორმაციის შემოწმება და დაცვის გარანტირებულად უზრუნველყოფა.

იაპონიაში შექმნილია ელექტრონული მთავრობის კარგად კოორდინირებული „ელექტრონული მთავრობის მშენებლობის პროგრამა“ (Program for Building E-Government)⁴⁵. ესაა მოქმედებათა გეგმა „ელექტრონული იაპონიის“ სტრატეგიაში ჩართული ელექტრონული მთავრობის რეალიზაციისათვის.

იაპონიაში ელექტრონული მთავრობის შექმნა ითვალისწინებდა ორ მიზანს: მოსარგებლებზე ორიენტირებული მმართველობითი მომსახურების უზრუნველყოფას და ბიუჯეტის ხარჯებიდან ეფექტიანი უკუგების მქონე საზოგადოებრივი მართვის რეალიზაციას⁴⁶. განხორციელდა ამ მიზნებზე დაფუძნებული მთელი რიგი ინიციატივები. რეალურ პროგრესს მიაღწიეს მოქალაქეებისა და ფირმებისთვის იმის შესაძლებლობის შექმნაში, რომ მათ განაცხადები შეეტანათ და რეგისტრაცია განეხორციელებინათ პრაქტიკულად ყველა ეროვნული ადმინისტრაციული პროცედურისათვის⁴⁷. 2005 წ. მარტიდან ასეთი პროცედურების 96% ონლაინშია ხელმისაწვდომი, მაგალითად, გადასახადის რეგისტრაცია და სოციალური დაზღვევის სისტემის გამოთხოვა.

2001 წ. აპრილში გაიხსნა სამთავრობო პორტალი „e-gov“ (<http://www.e-gov.go.jp>)⁴⁸. იგი მოსახლეობას სთავაზობს მთავრობისა და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და წარმოადგენს მძლავრ საძიებო სისტემას. 2004 წ. იანვრიდან ამ პორტალის გამოყენებით მოსახლეობას ქვეყნის განვითარების შესახებ სტრატეგიული წინადადებების შეტანაც შეუძლია⁴⁹.

„აზიის ვეფხეების“ (სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი და ჰონკონგი) ინფორმაციულ განვითარებას საფუძვლად უდევს სახელმწიფოსა და ბაზრის ეკონომიკური თანამშრომლობა⁵⁰. ამ ქვეყნების წარმატება განაპირობა კერძო კაპიტალის მსხვილ დაბანდებათა სა-

ითხზე გადაწყვეტილებათა მიღებაში სახელმწიფოს ჩარევამ და მისმა აქტიურად მონაწილეობამ ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნაში. ინფორმაციული განვითარების იმ პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებულად აწუხებს მთავრობას, ეკუთვნის უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმოებისა და დანერგვის სფეროში მუდმივად მზარდი კონკურენცია და ამასთან დაკავშირებით ბაზრის რომელიმე სეგმენტის ან სამუშაო ადგილების დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობა, აგრეთვე, საინფორმაციო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სამხრეთ კორეის ელექტრონული მთავრობის შექმნის პირველი ნაბიჯები შეეხებოდა საკანძო ადმინისტრაციული ინფორმაციის გადაყვანას მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

1990-იან წლებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრის ეფექტიანობის ამაღლებას, 2000 წლიდან მეტი ყურადღება დაუთმეს მთავრობის მიერ გაწეული მომსახურებით მოქალაქეთა დაკმაყოფილებას, 2003 წლიდან კი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე აქტიურად გაიშალა მუშაობა სახელმწიფოებრივ საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის გადიდების მიმართულებით. ამჟამად სამხრეთ კორეაში ელექტრონული მთავრობის განვითარება დიდ როლს თამაშობს დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლების მოდერნიზებასა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

კორეის ელექტრონული მთავრობის კონცეფციაში რეალიზდება პროგრამა „მთავრობა მოქალაქეებისათვის“ (G4C), რომელმაც უნდა გააძლიეროს ქვეყნის მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედებათა პროცედურები. პროგრამა ორიენტირებულია მოქალაქეებთან და მეურნე სუბიექტებთან ჩინოვნიკების უშუალო კონტაქტების მინიმიზებაზე. ამ პრინციპის დაცვას უზრუნ-

⁴⁵ Government of Japan (GOJ) [Electronic resource]. - 2005. - URL: http://www.guoukaku.go.jp/siryoku/index_kouhyou.html

⁴⁶ Government of Japan (GOJ) [Electronic resource]. - 2005. - URL: http://www.guoukaku.go.jp/siryoku/index_kouhyou.html

⁴⁷ Kaneko, Y. Mechanism of E-Government Undertaking in Japan [Text] / Y. Kaneko // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 2272 - 2283.

⁴⁸ Чернов, А. А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А. А. Чернов. - Москва: Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. - 232 с.

⁴⁹ Жумабаева, Р. Электронное правительство Южной Кореи / Р. Жумабаева [Электронный ресурс]. - Режим доступа: <http://www.dgt.kz/?pg=view&vip=32&razd=2&id=525>

⁵⁰ Next Generation of e-Government for Developing Countries: Lessons Learned from the Cases of the EU and Korea [Electronic resource]. - URL: <http://www.computer.org/portal/web/csdl/doi/10.1109/ICCIT.2008.395>



ველფოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, მათ შორის - დაბეგვრის საკითხებშიც. კერძოდ, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გადასახადების გადახდა შეუძლიათ ინტერნეტის მეშვეობით, იურიდიული პირები ანგარიშგებას და ფიზიკური პირები საგადასახადო დეკლარაციებს ელექტრონული სახით წარადგენენ, საგადასახადო ორგანოები კი ონლაინ რეჟიმში უწყვენ მათ კონსულტაციებს. ამჟამად მთავრობა მრავალ ინტეგრაციულ ონლაინ-მომსახურებას ეწევა, მათ შორის - „ერთი სარკმლის“ პრინციპით.

სამხრეთ კორეის ელექტრონულმა საბაჟო სამსახურმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ონლაინ-რეჟიმში საექსპორტო-საიმპორტო პროცედურების 100%-იანი განხორციელებით. შესყიდვების ელექტრონულმა სისტემამ პრემია მოიპოვა საინფორმაციო ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესზე. ინტერნეტის მეშვეობით საგადასახადო სისტემა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ საუკეთესო მოდელად ცნო „e People“-ს სამსახური, რომელიც სახელმწიფოს ცხოვრებაში სამხრეთ კორეის მოქალაქეთა ონლაინ მონაწილეობის ზრდა-განვითარებისთვის იყო შექმნილი, მსოფლიოს 10 საუკეთესო სამსახურს შორის აირჩია ელექტრონული მთავრობის მსოფლიო ფორუმმა⁵¹.

სახელმწიფო ადმინისტრაციისა და უსაფრთხოების სამინისტრომ 2006 წ. ივნისში შექმნა „ელექტრონული მთავრობის მომდევნო თაობის გეგმა“ (Next Generation e-Government Plan)⁵², რომელიც სოციალურ, ადმინისტრაციულ და ტექნოლოგიურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს ასახავს. ამ დოკუმენტის მთავარი მიმართულებები და პრინციპები ეხება სოციალურ და ტექნოლოგიურ პირობებში მომხდარ ცვლილებებს, ონლაინ რეჟიმში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებას სახელმწიფოს ცხოვრებაში და სახელმწიფო ადმინისტრაციის მმართველობის სისტემის ფუნქციათა ცვლილებებს.

ადმოსავლეთის ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **სინგაპური**, რომელსაც შემუშავებული აქვს სტრატეგიუ-

ლი გეგმა **ინტელექტუალური კუნძული**. მისი გეგმები იმაში მდგომარეობს, რომ გახდეს განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მქონე ერთ-ერთი პირველი ქვეყანა და უზრუნველყოს კომპიუტერების კავშირი პრაქტიკულად ყველა სახლში, სკოლაში ან სამუშაო ადგილზე.

სინგაპურში ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბება შორეულ 1980 წ. იწყება „სამოქალაქო სამსახურების კომპიუტერიზაციის პროგრამის“⁵³ (The Civil Service Computerisation Programme) მიღებით. თითქმის ორ ათეულ წელზე (1980-1999 წწ.) გათვლილი ეს პროგრამა ყველაფერზე წინ აყენებდა მთავრობის ადმინისტრაციული სამსახურების აღჭურვას მუშაობის მაღალტექნოლოგიური საშუალებებითა და მეთოდებით. ეს შესაძლებელს ხდიდა გადაწყვეტილებათა მიღების დაჩქარებას და მუშაკებს ათავისუფლებდა ქალაქთან მუშაობის კოლოსალური მოცულობისაგან, რაც პირდაპირ გაუზიარებდა ახდენდა ჩინოვნიკების საქმიანობის ეფექტიანობაზე. უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანამ შეძლო ხელი მიეყო საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მონაცემთა- და სერვის-ცენტრების შექმნისათვის. ახალი ათასწლეულის დასაწყისში სინგაპურში მიიღეს მთავრობის მუშაობის ინტერაქტიული მეთოდების განვითარების ახალი გეგმა - **e-Government Actio Plan**⁵⁴ (2000-2003 წწ.), რომლის მთავარ მიზნად დასახული იყო სინგაპურის ელექტრონული მთავრობის შეღწევა ამ დარგში მსოფლიო ლიდერების რიგებში.

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის სფეროში სინგაპურის ინიციატივებს შორის რეალიზებულია შემდეგი:⁵⁵

1. მთავრობისა და მოქალაქის ურთიერთქმედების პორტალი (Government-to-Citizen, G2C, <http://www.egov.gov.sg/g2c.htm>), რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა ონლაინ კავშირს მთავრობასთან დღის ნებისმიერ დროს. ესაა იმ ინფორმაციისა და მომსახურების პორტალი, რომლებიც მოქალაქეებს ესაჭიროებათ. მოსახლეობაში ამ საიტის პოპულარობას ის ფაქტი ადასტურებს, რომ მისით მოსარგებლეთა რაოდენობა 2000 წელს დარეგისტრირებული 240 000-დან 8.7 მლნ-

⁵¹ Civil Service Computerisation Programme (1980-1999) [Electronic resource]. - URL: http://www.igov.gov.sg/Singapore_egov/eGov_Masterplans/CivilServiceComputerisationProgramme.htm

⁵² Singapore E-government Action Plan [Electronic resource]. - URL: <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/APCITY/UNPAN002999.pdf>

⁵³ Hin, L.T.W. Virtual Government in Singapore [Text] / L.T.W. Hin, R. Subramaniam // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 468-476.

⁵⁴ Wee, G. Justice in the high-tech courts [Text] / G. Wee // Computer World. - 2000. - № 6(40). - P. 4-10.

⁵⁵ Wee, G. Justice in the high-tech courts [Text] / G. Wee // Computer World. - 2000. - № 6(40). - P. 4-10.



მდე გაიზარდა 2003 წელს.

2. მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთქმედების პორტალი (Government-to-Business, G2B, <http://www.egov.gov.sg/g2b.htm>), რომელიც ადგილობრივ და უცხოურ ფირმებთან მთავრობის ურთიერთქმედების მექანიზმს წარმოადგენს.

3. მთავრობისა და მოსამსახურეების ურთიერთქმედების პორტალი (Government-to-Employees, G2E, <http://www.egov.gov.sg/g2t.htm>), რომელიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მრავალრიცხოვან პროგრამებს აქვეყნებს საზოგადოებრივ სექტორში თანამშრომელთა შტატის განვითარებისათვის.

4. ელექტრონული მოქალაქის ცენტრი (E-Citizen Center, <http://www.ecitizen.gov.sg>). ამ პორტალის მეშვეობით საზოგადოება ურთიერთქმედებს ბიუროკრაციასთან. 2006 წ. პორტალმა 16000-ზე მეტი ონლაინ მომსახურება გასწია 16 ძირითადი კატეგორიის მიხედვით.

5. ელექტრონული სასამართლო ხელისუფლების სისტემა (E-Judiciary System). იგი 2001 წ. ამოქმედდა და სამოქალაქო სასამართლოს პირველი უქალაქო სისტემა იყო მსოფლიოში⁵⁶. ამიერიდან ადვოკატები ვალდებული იყვნენ თავიანთი იურიდიული დოკუმენტები უკვე ონლაინში დაერეგისტრირებინათ.

6. ელექტრონული ბაზრობების სისტემა TradeNet (<http://www.tradenet.gov.sg>).

7. ელექტრონული ბეჭდვითი სიტყვის სისტემა (E-Stamping System). ეს სერვისი ადვოკატებსა და უძრავი ქონების აგენტებს აძლევს ლიზინგის, არენდის, გირაოს და იმ სხვა პროცესების მიხედვით მთელი დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობას, რომლებიც ანოტირებული იქნება ელექტრონული ონლაინ ბეჭდვითი სიტყვით⁵⁷.

8. საშემოსავლო გადასახადის რეგისტრაციის სისტემა (the e-filing of income tax returns).

სინგაპურში სამთავრობო მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა დღეს ონლაინ-სისტემის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი. მთავრობა სტიმულს აძლევს მოქალაქეთა ელექტრონული მთავრობის მომსახურების პირადი ან სამსახურეობრივი კომპიუტერებიდან წვდომას მოსახლეობისათვის ნებისმიერ მოხერხებულ დროს. ელექტრონული მთავრობის ერთ-ერთი მთავარი

პროგრამაა „ელექტრონული მოქალაქე“ (e-Citizen), რომელიც წინათ სხვადასხვა სამთავრობო უწყების მიერ გაწეული მომსახურების ინტეგრირებული პაკეტია. სინგაპურის მთავარი პრიორიტეტია დანაწევრებული სამთავრობო სისტემების ინტეგრაცია სამთავრობო მომსახურების გაწევის ერთიან პორტალში მთავრობის ერთიან საიტზე.

სინგაპურის ელექტრონული მთავრობის განვითარების მიზნების რეალიზაციისათვის სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე მრავალმხრივი კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შემდეგ შეიმუშავეს „მთავრობის მოქმედებათა გეგმა“. იგი შეიცავს ელექტრონული მთავრობის შემდეგ სტრატეგიულ მიზნებსა და სტრატეგიულ პროგრამებს⁵⁸.

1. ცოდნაზე დაფუძნებული სამუშაო გარემო: ყველა დონის სახელმწიფო მოხელეებმა უნდა იცოდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიები და იყენებდნენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპირატესობებს სამუშაო პროცესებისა და მომსახურების გაუმჯობესების, აგრეთვე, გუნდში მუშაობისათვის.

2. მომსახურების ელექტრონულად გაწევა: ყველა ის სამთავრობო მომსახურება, რომელიც ტექნიკურად შეიძლება ელექტრონული ფორმით იყოს გაწეული, ან რომელთა ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიძლება ელექტრონული არხები იყოს გამოყენებული, შესაბამისად უნდა იყოს გაწეული.

3. ტექნოლოგიური ექსპერიმენტები: ისინი ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ორგანოების უფრო სწრაფად ადაპტირებას სწრაფად ცვალებად ტექნიკურ პირობებთან და შეამცირებენ უმართებულო გადაწყვეტილებებში მსხვილი ინვესტიციების ალბათობას.

4. ოპერატიული ეფექტიანობის გაუმჯობესება: კომპიუტერული მოწყობილობა თანამედროვე უნდა იყოს.

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების ადაპტირებადი, მაგრამ მტკიცე ინფრასტრუქტურა: ტელეკომუნიკაციების, რადიო- და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფმა კონვერგენციამ შესაძლებლობები გაუხსნა უფრო დაბალი დანახარჯების მქონე ქსელურ მთავრობას. გააზრებული, კარგად დამუშავებული, საიმედო და მზარ-

⁵⁶ Гутри, И.С. Основные стратегии формирования электронного правительства [Текст] / И.С. Гутри // Технологии информационного общества - Интернет и современное общество: труды VI Всероссийской объединенной конференции. Санкт-Петербург, 3 - 6 ноября 2003 г. - Санкт-Петербург : Изд-во Филологического ф-та СПбГУ, 2003. - С. 118-120.

⁵⁷ Zhang, N.N. From geographical space to composite space: The urban space under the influence of information networks [Text] / N.N. Zhang, C.L. Gu // Human Geography. - 2002. - № 17(4). - P. 20-24.

⁵⁸ ChuanSheng, R. E-Government Construction and China's Administrative Litigation Act [Text] / R. ChuanSheng // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P. 988-993.



დი ინფრასტრუქტურა ელექტრონული მთავრობის მხარდაჭერის აუცილებელი ელემენტია.

6. განათლება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში: ამ სფეროში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები განათლებას იძლევიან არა მარტო კომპიუტერული სისტემების შესწავლაში, არამედ სამუშაო პროცესებისა და სამთავრობო მომსახურების გაწევის გაუმჯობესებისათვის მათ გამოყენებაში.

სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების სფეროში ჩინეთის მთავრობის მასშტაბურ ინვესტიციებსა და უცხოური კაპიტალის მოზიდვას უკვე მოაქვს თავისი ნაყოფი და მომავალში ახალი ტექნოლოგიების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრად გადაქცევას უქადის ოდესღაც ტექნიკურად ჩამორჩენილ ამ ქვეყანას.

ჩინეთში ელექტრონული მთავრობა 1999 წ. გამოჩნდა. ონლაინ-მთავრობის პროექტი (Government Online Project) ოფიციალურად 1999 წლის 22 იანვარს ამოქმედდა.⁵⁹ ამ პროექტს ასპონსორებდა 40-ზე მეტი სამინისტრო და სახელმწიფო საბჭოს კომიტეტი.⁶⁰ ამის შემდეგ ონლაინ-მთავრობის პროექტის მთავარი ვებ-საიტი (<http://www.gov.vninfo.net/>) და სახელმძღვანელო ვებ-საიტი (<http://www.gov.cn>) ოფიციალურად გამოიცა.⁶¹ ამჟამად არსებობს ათასობით სამთავრობო და ამ თემატიკასთან დაკავშირებული ვებ-საიტი, რომელთაც აქვთ დაბოლოება - gov.cn თავიანთ URL.

2000 წლიდან ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უფრო სწრაფი ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს ელექტრონული მთავრობისაკენ. მაგალითად, ამავე წლის ბოლოსთვის პეკინმა უკვე მოაწყო პლატფორმა საზოგადოებრივი ინფორმაციისათვის და სამთავრობო ქსელი. დაფუძნდა მონაცემთა მთელი რიგი საინფორმაციო ბაზები, რომლებსაც შეუძლიათ საწარ-

მოების, მოსახლეობისა და მართვის ორგანოების ინფორმაციის დამუშავება.⁶²

ჩინეთში ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესი სამ მთავარ ფაზად შეიძლება დაიყოს. პირველია ინფორმაციისა და საკონსულტაციო მომსახურების ონლაინ მიწოდება. ამ ფაზაში სამთავრობო ინფორმაციასა და მომსახურებას მოქალაქეებს ინტერნეტით აწვდიან. გარდა ამისა, ისეთი მარტივი ფუნქციების დამატებით, როგორიცაა e-mail-ის გაგზავნა ან ფორუმზე განხილვის მოწყობა, ხდება ორმხრივი კომუნიკაციის მხარდაჭერაც; მეორე ფაზა ორიენტირებულია სახელმწიფო მომსახურების ონლაინ გაწევაზე. ამ სტადიაზე მომსახურების მიღება მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონული სახით, მაგალითად, ფირმის ონლაინ დაბეგვრა ან რეგისტრაცია; მესამე ფაზა გაერთიანებული ონლაინ მომსახურებებია. ისინი იმ ფუნქციებისადმი და მომსახურებისადმი მიმართული, რომლებსაც საერთო სამთავრობო ვებ-საიტით ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა განყოფილება ეწევა. მისი მიზანია მომსახურების გაწევა „ერთი სარკმლის“ პრინციპით.⁶³

ჰონკონგის სახელმწიფო დაწესებულებებზე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის პირველი ტალღა 1970-იანი წლების ბოლოს მოდის, როცა პერსონალური კომპიუტერები ოფისის მოწყობილობად იქცა და ისინი საქმის წარმოებისათვის გამოიყენეს კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.⁶⁴ ქვეყანაში შემოიღეს ახალი ბიზნეს-პარადიგმები: Business-to-Business (B2B) და Business-to-Consumer (B2C). ელექტრონული მთავრობის კონცეფცია ვითარდებოდა ყველა ფორმით: Government-to-Citizen (G2C), Government-to-Business (G2B)⁶⁵, Government-to-Employee (G2E) და Government-to-Government (G2G).

1990-იანი წლების მსოფლიო ტენდენციის

⁵⁹ Lu, Z. The Development of Urban E-Government in China [Text] / Z. Lu, J. Zhang, B. Han, Z. Deng, J. Lu // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.655-675.

⁶⁰ ChuanSheng, R. E-Government Construction and China's Administrative Litigation Act [Text] / R. ChuanSheng // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P. 988-993.

⁶¹ Lu, Z. The Development of Urban E-Government in China [Text] / Z. Lu, J. Zhang, B. Han, Z. Deng, J. Lu // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. - P.655-675

⁶² Danziger, J.N. An assessment of computer technology in U.S. local government [Text] / J.N. Danziger,

K.L. Kraemer, J.L. King // Urban Systems. - 1978. - № 3(1). - P. 21-37.

⁶³ Golden, W., Hughes, M., & Scott, M. The role of process evolution in achieving Citizen-Centered e-government [Text] / Golden, W., Hughes, M., & Scott, M. // Ninth Americas Conference on Information Systems. - Tampa : AMCIS, 2003. - P. 100.

⁶⁴ Khosrowpour, M. Emerging Trends and Challenges in Information Technology Management [Text] / M.Khosrowpour. - Washington D.C.: Information Resources Management Association International Conference, 2006. - 1082 p.

⁶⁵ Ho, K.K.W. The E-Government Development, IT Strategies, and Portals of the Hong Kong SAR Government [Text] / K.K.W. Ho // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York: Information Science Reference, 2008. - P.715-733.



ანალოგიურად, ჰონკონგის რეგიონულმა მთავრობამ Hong Kong Special Administrative Region Government (the HKSARG) ყოველდღიურად დაიწყო ინტერნეტ-ტექნოლოგიის გამოყენება საქმის წარმოებაში, სახელდობრ, ელექტრონული საფოსტო ქსელის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

1998-1999 წლებში the HKSARG-მ აამოქმედა ახალი პროგრამა the Enhanced Productivity Programme და გამოაცხადა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის the Digital 21 Information Technology (IT) Strategy შესახებ⁶⁷. ამ სტრატეგიამ ჩვეულებრივი ქალაქიდან ისეთ ქალაქად გადააქცია ჰონკონგი, რომელიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით იმართება, ხოლო EPP- პროგრამამ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებას შეუწყო ხელი მთავრობის განყოფილებებს შიგნით და შესაძლებელი გახადა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ელექტრონული მომსახურების რეალიზება.

სახელმწიფო მოსამსახურეების დონეზე ელექტრონული მთავრობის კონცეფციის (G2E და G2G) განვითარებისათვის the HKSARG ნერგავდა ისეთ პროგრამებს, როგორიცაა სამთავრობო დაწესებულებების ავტომატიზაცია (Government Office Automation (GOA)) და სამთავრობო-საკომუნიკაციო ქსელი (Government Communication Network (GCN)). პირველმა უზრუნველყო სახელმწიფო მოსამსახურეები ტერმინალებითა და სხვა კომპიუტერული პერიფერიით, ხოლო მეორემ ჩამოაყალიბა ელექტრონული სამთავრობო ქსელი ინფორმაციის სწრაფი გადაცემისათვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდში the HKSARG-ს თავდაპირველი გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ სამთავრობო დაწესებულებების უფროსი მენეჯერები და განყოფილებათა ხელმძღვანელები აღეჭურვათ ელექტრონული

ფოსტით შეტყობინებათა გაგზავნისთვის საჭირო საშუალებებითა და ტერმინალებით. უკვე 2008 წელს ყველა სახელმწიფო მოსამსახურე უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტსა და ლოკალურ სამთავრობო ქსელში თავისუფალი შესვლით.

გარდა ამისა, 2000 წ. ამოქმედდა ჰონკონგის ელექტრონული მთავრობის ცენტრალური ოფისი (the Central Cyber Government Office CCGO)), რომელსაც 2008 წ. 100 000-ზე მეტი მოსარგებლე ჰყავდა. ეს საიტი ასრულებს საინფორმაციო პორტალის ფუნქციებს, ხელს უწყობს ელექტრონული გარიგებების დადებას, შეიცავს ფორუმის განყოფილებებს, სადაც სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ თავიანთი მუშაობის განხილვა, აგრეთვე, მინიშნებები აქვს სამთავრობო ვებ-საიტებს.

დასკვნა

HKSARG-მ ასევე განავითარა G2B და G2C სისტემები, რასაც საფუძვლად დაედო პროგრამა the Enhanced Productivity Programme and the Digital 21 Information Technology (IT) Strategy სტრატეგია. ამ სფეროში ყველაზე წარმატებული პროექტია მომსახურების ელექტრონულად გაწევის სისტემა the electronic service delivery (ESG) (<http://www.esd.gov.hk>), რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფოს ონლაინ მომსახურებით. იურიდიული პირებისათვის გახსნილია „Business.gov.hk“ (<http://www.business.gov.hk>) პორტალიც, რომელიც გაცემს ჰონკონგში საქმისწარმოების შესახებ სასარგებლო ინფორმაციას და ახორციელებს ელექტრონულ მომსახურებას. „The electronic tendering system“ (ETS) (<http://www.ets.com.hk>) საიტის მეშვეობით ორგანიზაციები ინფორმაციას იღებენ იმ მოწოდებლობის შესახებ, რომელსაც სამთავრობო უწყებები გაყიდვიან აუქციონზე.



გამოყენებული ლიტერატურა

- 1 Чернов, А.А. Становление глобального информационного общества: проблемы и перспективы [Текст] / А.А. Чернов. – Москва: Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003. – 232 с.
- 2 Вершинская, О.Н. Существующие модели построения информационного общества [Текст] / О.Н. Вершинская // Информационное общество. - 1999 . - № 3 . - С. 53.
- 3 Lisbon Strategy [Electronic resource]. - URL: http://cordis.europa.eu/programme/rcn/843_en.html
- 4 eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the special European Council of Lisbon. – Brussels, 2000. – 16 p.
- 5 Falch, M. ICT as an Example of Industrial Policy in EU [Text] / M. Falch // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P.1683-1689.
- 6 Green Paper on the development of the common market for telecommunications services and equipment
- 7 - Brussels : Commission of the European communities, 1987. - 192 p. eEurope - An information society for all [Text] / Communication on a commission initiative for the
- 8 special European Council of Lisbon. – Brussels, 2000. – 16 p. eEurope 2005: An information society for all [Text] / An Action Plan to be presented in view of the
- 9 Sevilla European Council. – Brussels, 2002. – 22 p. i2010—A European information society for growth and employment [Electronic resource]. – 2005.
- 10 URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52005DC0229>. Some key issues in Europe's competitiveness — Towards an integrated approach [Electronic resource]. 2005. – URL: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52003DC0704>
- 11 Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 1047-1055.
- 12 Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 1047-1055.
- 13 The Role of eGovernment for Europe's Future [Text]. - Brussels: Commission of the European communities, 2003. - 26 p.
- 14 Leitner, C. E-Government in Europe: The State of Affairs [Text] / C. Leitner. - Maastricht : European Institute of Public Administration, 2003. - 63 p.
- 15 Amoretti, F. E-Government at Supranational Level in the European Union [Text] / F. Amoretti // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P. 1047-1055.
- 16 Henten, A. European planning for an information society [Text] / A. Henten, M. Falch, K.E. Skouby / / Telematics and Informatics. - 1996. – № 13(2). – P. 177-190.
- 17 Falch, M. ICT as an Example of Industrial Policy in EU [Text] / M. Falch // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications. - New York : Information Science Reference, 2008. – P.1683-1689.
- 18 Delwit, P. Electronic Voting in Belgium [Text] / P. Delwit, J.-B. Pilet, E. Kulahci // Electronic government: concepts, methodologies, tools and applications . - New York : Information Science Reference, 2008. – P.2749-2760.



FOREIGN EXPERIENCE OF IMPLEMENTATION OF PROJECTS OF THE ELECTRONIC STATE

Summary

VAKHTANG DATASHVILI -

professor of GTU

social_economica@mail.ru

TINA MELQOSHVILI -

PhD student of GTU

tina.melkoshvili@tsu.ge

MARIAM DATASHVILI -

PhD student of GTU

datashvili-maria@mail.ru

The first part of the working - “the organizational aspects for formation and realization of the e-government in the conditions of the information society establishment” discusses the variety of explanations of electronic government; E-government is defined as the instrument of the State transformation; Electronic government formation process is discussed, as its sustainable development of the State and the necessary conditions for full-fledged entry into the world economy. The middle part of the working - “e-government projects overseas experience” discusses the overseas experiences of the information society and e-government formation in conditions of information-technology revolution and current trends in the world. The last part of the working - “Georgian regions e-government projects mechanism structure of information assurance” deals with the mechanisms of information provision, its structure, the existing gaps and problems, as well as the main directions of the electronic government realization. The problems identified in the implementation of the electronic government basic concepts. There is argued to improve of old and new tools for regional e-government estimate and the necessity of the well-established required regional evaluation criteria.